ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 6

ქ. თბილისი

17.05.2018

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **მანანა რატიანი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

2. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

3. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის დირექტორი;

4. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს სხდომის მდივანი;

5. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

6. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის" მასწავლებელი;

7. **მარინა უშვერიძე** - PH-International - საქართველოს ოფისის სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი;

8. **დავით მალაზონია** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

ლევან გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს ცოდნა

   მარინე ნადირაძე - დირექტორი

2. შპს თამარიონი +

   გიორგი გიორგაძე - დირექტორი

   თამარ უთნელიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

ქეთევან ბოტკოველი

მაკა ნადარეიშვილი

5. სხვა დამსწრე მპირები:

მანანა მახარაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი

ქეთევან ბოტკოველი - ავტორიზაციის ექსპერტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე მანანა რატიანი.

სხდომა გაიხსნა 16:20 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. „შპს ცოდნის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №93 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

2. „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 5 აპრილის №7 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

3. „შპს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 23 მაისის №73 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

4. „შპს მახინჯაურის ლიცეუმის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის №12 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

5. „შპს „თამარიონი +“ - ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. „შპს ცოდნის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №93 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ავტორიზაციის დებულებაში 2018 წლის 31 იანვრის N07/ნ ბრძანებით შეტანილი ცვლილების საფუძველზე, დებულების მე-40 მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაევალათ გადაენაწილებინათ ადგილები ყველა, მათ შორის ე. წ. საგნობრივ პროგრამაზეც და 2018 წლის 1 მარტამდე შუამდგომლობით მიემართათ შესაბამისი საბჭოსათვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების განსაზღვრასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, თითოეული პროგრამისთვის უნდა განისაზღვროს განხორციელების ადგილი/კონკრეტული მისამართი. აქვე აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა წარმოადგენს თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების ჯამს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში იწვევს დაწესებულებისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის კორექტირებას.

ნანი დალაქიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებებში კორექტირდება მისანიჭებელი კვალიფიკაციების ფორმულირება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 დანართის შესაბამისად და მიეთითება პროფესიული სპეციალიზაციის კოდი. დღის წესრიგში შეტანილი პირველი 4 საკითხი ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის განხილვას, აქვე აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევებში დაწესებულებებმა მოითხოვეს საგნობრივი პროგრამების გაუქმება, რის შესაბამისადაც კორექტირდება გადაწყვეტილებები.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ საკითხის ამგვარად დასმას.

ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ „შპს ცოდნის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №93 გადაწყვეტილებაში ცვლილება ეხება საგნობრივ პროგრამებზე კვოტის განსაზღვრას. აღნიშნული გადაწყვეტილებით კოლეჯს მიენიჭა 7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება და დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 60-ით.

ცენტრში შემოვიდა დაწესებულების განაცხადი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების კორექტირების საჭიროების შესახებ, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 7 პროგრამაზე გადანაწილების თაობაზე. შესაბამისად, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა უცვლელად რჩება.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა ცვლილების პროექტი. აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროექტს ასევე იცნობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რასაც დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელი, შპს ცოდნას დირექტორი მარინე ნადირაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ყველა საგნობრივი პროფესიული პროგრამა მილევად რეჟიმშია და ფაქტიურად არსებული კონტინგენტის გადანაწილებას ითხოვს დაწესებულება, ამავე დროს ემზადებიან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების დასამატებლად.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, შემოწმდა თუ არა, რამდენად აქვს დაწესებულებას რესურსი მითითებული კონტინგენტის სწავლებისთვის, საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ მოითხოვა დასაბუთება დაწესებულების წარმომადგენლისგან, რომ ეს რესურსი დაწესებულებას გააჩნია. შპს ცოდნის დირექტორმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საქმე ეხება მილევად რეჟიმში არსებული საგნობრივი პროგრამების ფაქტიური კონტინგენტის გადანაწილებას და არა კონტინგენტის გაზრდას. კონტინგენტის გაზრდას მოითხოვენ მოდულური პროგრამების დამატებისას და მაშინ შემოწმდება მატერიალური და ადამიანური რესურსიც.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს ცოდნის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №93 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,ცვლილება განხორციელდეს „შპს ცოდნის ავტორიზაციის შესახებ" (ს/კ238730931) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №93 გადაწყვეტილებაში და შპს ცოდნას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60 - ით, პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პ
1	რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსი	მესამე	რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040753	90	ქართული	15	სამტრედია, გ. კრავეიშვილის ქუჩა №1
2	სარკინიგზო გადამზიდავი	მესამე	სარკინიგზო გადამზიდავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040754	60	ქართული	15	სამტრედია, გ. კრავეიშვილის ქუჩა №1
3	მელიანდაგე	მესამე	მელიანდაგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040667	90	ქართული	5	სამტრედია, გ. კრავეიშვილის ქუჩა №1
4	სავაგონო მეურნეობის ელექტრომექანიკოსი	მესამე	სავაგონო მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მესამე	90	ქართული	5	სამტრედია, გ. კრავეიშვილის ქუჩა №1

			საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040756				
5	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი	მესამე	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040752	90	ქართული	8	სამტრედია, გ. კრავეიშვილის ქუჩა №1
6	ოფისის მენეჯერი	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356	60	ქართული	6	სამტრედია, გ. კრავეიშვილის ქუჩა №1
7	ბუღალტერი	მესამე	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020151	30	ქართული	6	სამტრედია, გ. კრავეიშვილის ქუჩა №1

2. „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 5 აპრილის №7 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 5 აპრილის №7 გადაწყვეტილებაში ცვლილება ეხება საგნობრივ პროგრამებზე კვოტის განსაზღვრას. აღნიშნული გადაწყვეტილებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიენიჭა 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება და დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 100-ით.

ცენტრში შემოვიდა დაწესებულების განაცხადი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების კორექტირების საჭიროების შესახებ, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 4 პროგრამაზე გადანაწილების თაობაზე, მიეთითება თითოეული პროგრამის განხორციელების ადგილი/კონკრეტული მისაამართი. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა უცვლელად რჩება.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა ცვლილების პროექტი. აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროექტს ასევე იცნობს კოლეჯი, რისი დამადასტურებელი კორესპონდენცია დაცულია პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა - პანსიონის ავტორიზაციის შესახებ"

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 5 აპრილის №7 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა - პანსიონის ავტორიზაციის შესახებ" (ს/კ200273088) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 5 აპრილის №7 გადაწყვეტილებაში და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა - პანსიონს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100 - ით, პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი მისამართები
1	მემინანქრე	მესამე	მემინანქრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080355	60	ქართული	20	თბილისი, სამღერეთის ქუჩა №13
2	თექის ხელოსანი	მესამე	თექის ხელოსნის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080364	60	ქართული	25	თბილისი, სამღერეთის ქუჩა №13
3	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი	მესამე	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080367	30	ქართული	25	თბილისი, სამღერეთის ქუჩა №13
4	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	მესამე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360	30	ქართული	30	თბილისი, სამღერეთის ქუჩა №13

3. „შპს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 23 მაისის №73 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ „შპს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 23 მაისის №73 გადაწყვეტილებაში ცვლილება ეხება საგნობრივ პროგრამებზე კვოტის განსაზღვრას. აღნიშნული გადაწყვეტილებით კოლეჯს მიენიჭა 1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება და დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 50-ით.

ცენტრში შემოვიდა დაწესებულების განაცხადი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების კორექტირების საჭიროების შესახებ, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 1 პროგრამაზე გადანაწილების თაობაზე, მიეთითება პროგრამის განხორციელების ადგილი/კონკრეტული მისაამართი. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა უცვლელად რჩება.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა ცვლილების პროექტი. აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროექტს ასევე იცნობს კოლეჯი, რისი დამადასტურებელი კორესპონდენცია დაცულია პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 23 მაისის №73 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „შპს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის შესახებ" (ს/კ226155763) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 23 მაისის №73 გადაწყვეტილებაში და შპს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 50 - ით, პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სასტუმრო საქმისმწარმოებელი	მესამე	სასტუმრო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112053	60	ქართული	50	ბორჯომი, რუსთაველის მოედანი N1

4. „შპს მახინჯაურის ლიცეუმის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის №12 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ „შპს მახინჯაურის ლიცეუმის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის №12 გადაწყვეტილებაში ცვლილება ეხება საგნობრივ პროგრამებზე კვოტის განსაზღვრას. აღნიშნული გადაწყვეტილებით კოლეჯს მიენიჭა 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება და დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 320-ით.

ცენტრში შემოვიდა დაწესებულების განაცხადი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების კორექტირების საჭიროების შესახებ, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 3 პროგრამაზე გადანაწილების თაობაზე, მიეთითება პროგრამის განხორციელების ადგილი/კონკრეტული მისამართი. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა უცვლელად რჩება.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა ცვლილების პროექტი. აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროექტს ასევე იცნობს კოლეჯი, რისი დამადასტურებელი კორესპონდენცია დაცულია პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს მახინჯაურის ლიცეუმის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის №12 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „შპს „მახინჯაურის ლიცეუმის" ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის №12 გადაწყვეტილებაში და შპს „მახინჯაურის ლიცეუმს“ (ს/კ248417896) პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320 - ით, პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი, მისამართები
1	გემბანის მეზღვაური	მესამე	გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111051	60	ქართული	140	ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი 38
2	სამანქანე განყოფილების მეზღვაური	მესამე	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111052	60	ქართული	130	ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი 38
3	გემის ელექტრიკოსი	მესამე	ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040557	60	ქართული	50	ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი 38

5. შპს „თამარიონი +“ - ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და მაკა ნადარეიშვილი. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

5.1. ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, შპს „თამარიონ +“-მა ექსპერტთა ჯგუფს გადმოგზავნილი დიკუმენტაციის სახით წარუდგინა 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შემუშავებული იყო სკოლაში არსებული საგნობრივი კათედრების მიერ, ხოლო დამტკიცებული იყო 2018 წლის 12 თებერვალს სკოლის დირექტორის მიერ. ვიზიტის დროს სკოლის ადმინისტრაციამ ექპერტთა ჯგუფს წარუდგინა შპს „თამარიონ +“-ის 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.

შპს „თამარიონ +“-ში სწავლება დაგეგმილი იყო დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. საფეხურების მიზნები გამომდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმიდან. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული იყო გრიფირებული ძირითადი სახელმძღვანელოების ჩამონათვალი კლასების მიხედვით. სკოლის აკადემიურ კალენდარში განსაზღვრული იყო სწავლის დაწყებისა და დასრულების თარიღები, არდადეგები და დასვენების დღეები - აკადემიური კალენდარი შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ასევე მოცემული იყო სასწავლო დღის რეჟიმი. სკოლა მომავალ სასწავლო წელს გეგმავდა ორცვლიან მუშაობას, შესაბამისი სასწავლო დღის რეჟიმი

წარმოდგენილი იყო სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში. საათობრივი ბადე ემთხვეოდა ეროვნული გეგმით შემოთავაზებულ საათობრივ ბადეს.

სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავდა ინკლუზიურ განათლებას, რომელიც ეყრდნობოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ინკლუზიური სწავლების მიზნებს. მოცემული იყო ზოგადი განმარტება ინკლუზიური განათლების, მოსწავლის შეფასებისა და გაცდენების შესახებ.

სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავდა გაცდენებსა და სასწავლო პროცესში მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასებას. შეფასების პრინციპები ეყრდნობოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული იყო შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, რომელიც თანხვედრაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმით მოთხოვნილ მინიმალურ რაოდენობასთან. თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ გადმოგზავნილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ტექნიკური ტიპის ხარვეზი იყო გამოვლენილი - სასწავლო წლები შეცდომით იყო მითითებული, ხოლო წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი გასწორებული იყო. სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული იყო გამოცდები და გამოცდების ტიპები. გამოცდების ტიპები და პროცედურები შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

5.2. ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, შპს თამარიონი+ -ის იურიდიული მისამართი იყო: ქ.გორი, გმირების ქ. N 28. სკოლა განთავსებული იყო 517.00 კვ.მ. მიწის ფართზე მდებარე შენობა ნაგებობაში, საერთო ფართით: 350.69კვ.მ. ამ ფართში არ იყო გათვალისწინებული ახლად მიშენებული 2 ოთახი, რომლებიც არ იყო დატანილი აზომვით ნახაზზე. შენობა სკოლას აღებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულებით სს „თიბისი ბანკისგან". ხელშეკრულება ძალაში იყო 2024 წლის 30 მაისის ჩათვლით. სკოლამ ვერ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რამდენადაც ხელშეკრულების დადებიდან იჯარის გაფორმებასთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენი ვიზიტის პერიოდში გაფორმდა, არ იყო გასული შესაბამისი დრო. სკოლამ წარმოადგინა ასევე აზომვითი ნახაზი, რომელიც არ შეესაბამებოდა არსებულ მდგომარეობას და მასზე არ იყო დატანილი ახლად მიშენებული 2 ოთახი მეორე სართულზე და სველი წერტილი პირველ სართულზე. დირექტორის განმარტებით ამონაწერსა და აზომვით ნახაზს წარმოადგენდნენ საბჭოზე.

სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა ამონაწერი სესაბამისი დოკუმენტაცია.

სკოლაში იყო 7 საკლასო ოთახი, მათ შორის 2 განთავსებულია იყო მეორე სართულზე ახლად მიშენებულ ფლიგელში. ეს ოთახები არ იყო ასახული აზომვით ნახაზში. შენობის ამ ნაწილს ჰქონდა ღია კორიდორი, რომელიც გადმოდიოდა სკოლის ეზოზე. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ვიწრო დერეფნის შემინვითი სამუშაოები, რომელიც უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დაიგეგმა. შემინვის შემდგომ ამ ფლიგელში არსებული 1 საკლასო ოთახს და 2 საკლასო ოთახიდან ერთს, რომელიც არ იყო ასახული აზომვით ნახაზზე ექნებოდა მეორადი განათება, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფანჯრები, რომლებითაც იმინებოდა დერეფანი იყო მაღალი და ხელს არ შეუშლიდა ოთახების განათებას. სკოლას ჰქონდა, ასევე, 1 დამხმარე ოთახი განაყოფებისთვის მეორადი განათებით, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი, სასადილო ოთახი, ოთახი სპორტული ვარჯიშებისთვის, 1 ლაბორატორია მეორადი განათებით და ერთი ოთახი, რომელსაც სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით საწყობად იყენებდნენ, თუმცა აღნიშნული ოთახის დათვალიერება ვერ მოხერხდა.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ სკოლის წარმომადგენლისგან მოითხოვა განმარტება მეორად განათებასთან დაკავშირებით. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიუხედავად მეორადი განათებისა, აღნიშნულ ოთახებში იყო ბუნებრივი განათების პრობლემა არ იყო, რასაც დაეთანხმა ექსპერტები.

საბჭოს წევრი ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა, რატომ არ აჩვენა დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტებს ზემოაღნიშნული ოთახი.

სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ოთახი იყო სასწავლო პროცესისთვის შესაბამისი, თუმცა ამ ეტაპზე საჭიროების არ არსებობის გამო ოთახში ნივთები იყო დასაწყობებული და გადაავიწყდა ექსპერტებისთვის ოთახის ჩვენება.

ექსპერტის თქმით საკლასო ოთახებში განთავსებული იყო 64 ერთადგილიანი, 10 ორადგილიანი მაგიდა და 75 სკამი. დამხმარე ოთახში განთავსებული იყო ასევე 12 მერხი და 13 სკამი. სკოლას ჰქონდა 3 პერსონალური კომპიუტერი და 3 ლეპტოპი, 1 პროექტორი, 2 პიანინო. სკოლის მფლობელობაში იყო ასევე გეოგრაფიული რუკები და სხვადასხვა თვალსაჩინოება.

საერთო ჯამში, ოთახებში განთავსებული და დასაწყობებული მაგიდებისა და სკამების რაოდენობა შეადგენდა 101 -ს. თუმცა სკოლას დასაწყობებული ჰქონდა ასევე შენობის სახურავზეც მერხები, რომელთა დათვლაც ვერ მოხერხდა. ჩუქების ხელშეკრულების თანახმად, რომელიც დანართის სახით ერთვოდა დასკვნას, სსკოლას მფლობელობაში უნდა ჰქონოდა 64 ერთადგილიანი, 49

ორადგილიანი მაგიდა და 124 სკამი. საკლასო ოთახების ფართის გათვალისწინებით ერთ ცვლაში, სკოლაში შეიძლებოდა განთავსებულიყო მხოლოდ 71 მოსწავლე.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლა აპირებდა სასწავლო პროცესის 2 ცვლაში განხორციელებას და სკოლა ითხოვდა 142 ბავშვზე ავტორიზაციას.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ აზომვით ნახაზზე დაყრდნობით და მიიჩნიეს, რომ საკლასო ოთახებში მოსწავლეთა რაოდენობის 71 - ით განსაზღვრა გამოიწვევდა სტანდარტის დარღვევას და შეთანხმდნენ, რომ ერთ ცვლაში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა შეიძლებოდა განსაზღვრულიყო 60- ით, თუ სკოლა დაცლიდა ოთახს, რომლის ნახვის საშუალებაც ექსპერტებს არ მიეცათ და მოაწყობდა საკლასო ოთახის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებთან შეთანხმებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან დააყენა შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში სკოლაში განხორციელებულიყო მონიტორინგი და გადაემოწმებინათ, როგორც ზემოაღნიშნული ოთახი, ასევე ერთ ცვლაში მოსწავლეების მაქსიმალური რაოდენობა, რომ არ აღემატებოდა 60-ს, ასევე, მოსწავლეების საკლასო ოთახებში განაწილების საკითხი.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული იყო საევაკუაციო გეგმები, თუმცა გეგმები არასწორად იყო დაბეჭდილი, რის შეცვლასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა რეკომენდაცია. პირველ სართულზე განთავსებული იყო სახანძრო დაფა 1 ცეცხლმაქრით. მეორე სართულზე ასევე განთავსებული იყო 1 ცეცხლმაქრი.
სკოლაში იყო ექიმის ოთახი აღჭურვილი საჭირო ინვენტარით. ექიმთან გაფორმებული იყო ხელშეკრულება. შემუშავებული იყო დებულება, გაწერილი იყო ექიმის ძირითადი ფუნქციები და ვალდებულებები.
სკოლა უზრუნველყოფილი იყო ვიდეოსათვალთვალო მექანიზმებით. სკოლის შემოსასვლელში დამონტაჟებული იყო 2 სათვალთვალო ვიდეოკამერა. ერთი მათგანი იყო 3 მეგაპიქსელიანი, ხოლო მეორე კამერა 1 მეგაპიქსელიანი. სკოლის შიდა პერიმეტრს აკონტროლებდა ასევე 2 კამერა. გარე 2 კამერიდან ერთი არ შეესაბამებოდა მოთხოვნილ სტანდარტს.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ წარმოდგენილი ჰქონდათ სტანდარტის შესაბამისი კამერის შესყიდვის დოკუმენტაცია და შესაბამისად, ხარვეზი აღმოფხვრილი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით დამატებით კითხვები, სკოლის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

5.3. ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებელთა პირადი საქმეები, გადამოწმდა ასევე 2017-2018 სასწავლო წლის მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული ბაზები, რამდენადაც პედაგოგები, რომლებიც ახალი სასწავლო წლიდან გეგმავდნენ ამ სკოლაში მუშაობას, მუშაობდნენ გასულ წლებშიც.

წარმოდგენილი და გადამოწმებული დოკუმენტაციების მიხედვით, სკოლაში 25 მასწავლებლიდან 9 მასწავლებელს ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 6 მასწავლებელი პრაქტიკოსი იყო, ხოლო 10 მასწავლებელს არ ჰქონდა სტატუსი. მათ შორის ერთ მასწავლებელს ჩაბარებული ჰქონდა მასწავლებელთა კომპეტენციის დადასტურების საგნობრივი გამოცდა და პარალელურად სწავლობდა მასწავლებლის პროგრამაზე მაგისტრატურაში, ერთი მასწავლებელი სწავლობდა მასწავლებლის პროგრამაზე მაგისტრატურაში. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ხელი შეეწყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის და მასწავლებლებისთვის მოეთხოვა კომპეტენციის დადასტურების გამოცდაზე გასვლა.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რას მოიმოქმედებდა სკოლა მასწავლებლების მიერ კომპეტენციის დადასტურების გამოცდაზე არ გასვლის შემთხვევაში.

სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში გაუუქმებდა მასწავლებლებს ხელშეკრულებებს.

სკოლას მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება. ხელშეკრულებების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ მათში გათვალისწინებული იყო საქართველოს შრომითი ხელშეკრულების ძირითადი პუნქტები. ხელშეკრულება ძალაში შედიოდა 2018 წლის 19 აპრილიდან და მისი ხანგრძლივობა მოიცავდა 2018-2019 სასწავლო წელს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს „თამარიონი +“ -ის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ

დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „თამარიონი +“ -ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს „თამარიონი +“ ს (ს/კ: 418471193) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 19:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

მანანა რატიანი

მდივანი

თამილა ჩუბინიძე